



1556/3-81/22 2 21022022

1556/3-81/22
21-02-2022

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს
ოთარ არბოლიშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2021 წლის 01 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით (NAT 200018788) კომპანია საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოებს ასრულებდა. ვინაიდან საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი სექტემბრის თვით თარიღდება, განხორციელდა თუ არა, ბაკურიანში, ბორჯომსა და ლიკანში თოვლის გაწმენდითი სამუშაოები და მარილის მოყრა 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში და თუ კი, რა ინტენსივობით. ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც ჩამოთვლილია კონკრეტული ქუჩები.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით (NAT210024432) კომპანია საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოებს ასრულებდა. განხორციელდა თუ არა ბაკურიანში, ბორჯომსა და ლიკანში თოვლის გაწმენდითი სამუშაოები და მარილის მოყრა 2022 წელს და თუ კი, რა ინტენსივობით. ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც ჩამოთვლილია კონკრეტული ქუჩები.
- რა ფუნქციები გააჩნია ა(ა)იპ-ს „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა“ თუ გზების მოვლის მომსახურების იძენთ კერძო კომპანიისგან?

- ასევე, კიდევ ერთხელ გთხოვთ, მომწოდოთ ა(ა)იპ-ის „ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა" სამტატო ნუსხა შესაბამისი შრომითი ანაზღაურებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი





ბორჯომის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF BORJOMI



წერილის ნომერი: 16-162206023
თარიღი: 01/03/2022
პინი: 4456

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი
მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. #8

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ანა ნაცვლიშვილს

2022 წლის 21 თებერვალს ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემოსული თქვენი #1556/3-81/22 (02-162205282-16) წერილის თანახმად გაცნობებთ:

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2021 წლის 01 თებერვალს გაფორმებული #26 ხელშეკრულების (NAT200018788) ფარგლებში შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2021 წლის 20 სექტემბერს, შესაბამისად 2021 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში ზამთრის სამუშაოები აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ვერ განხორციელდებოდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტი ზამთრის სამუშაოებს ნოემბერ-დეკემბრის თვეში ახორციელებდა 2021 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული #371 ხელშეკრულების ფარგლებში (NAT 210015157). შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესაძლებელია იხილოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე :

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=414397&lang=ge>.

2. ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და შპს „მშენებელი 2012“-ს შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული #37 ხელშეკრულების ფარგლებში (NAT210024432) ბორჯომის მუნიციპალიტეტი ქ. ბორჯომში და ლიკანში ახორციელებს ზამთრის შენახვის სამუშაოებს საჭიროებიდან გამომდინარე, კლიმატური პირობების შესაბამისად . ხოლო დაბა ბაკურიანში ზამთრის სამუშაოებს ახორციელებს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ამ ეტაპზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებული არ არის.

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=429743&lang=ge>

3. ა(ა)იპ ბორჯომის „დასუფთავება და კეთილმოწყობა“ ახორციელებს ფეხით სავალი ნაწილისა და სკვერების გაწმენდას თოვლისა და ყინულისაგან, რომელიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულ საგზაო ნფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ არის. ა(ა)იპ ბორჯომის „დასუფთავება და კეთილმოწყობა“ აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებს ორგანიზაციაში დასაქმებული თანამშრომლებით, სადაც დასაქმებულია 131 ადამიანი და ერთი თვის

თანამდებობრივი სარგო შეადგენს ჯამში 81750 (ოთხმოცდაერთი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

